პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 219 (4469)

1971 წ. 2 ნოემბერი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1924 წლის 18 აპრილიდან

სსრ კავშირის პირველობა

ყოჩაღ, უნივერსიტეტის სამბისტებო!

ეს შეჯიბრება უკვე მესამე წელია ტრადიციად იქცა. თბილისის ახალგაზრდა სამბისტები ყოველი წლის ბოლოს იბრძვიან სპორტის დამსახურებული ოსტატის ფარნაოზ ჩიკვილაძის სახელობის თასის მოსაპოვებლად. ამჯერად ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „დინამოს", „სპარტაკის", „განთიადის", უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების ახალგაზრდული ნაკრები გუნდები.

წინა ორ გათამაშებაში წარმატებას არმიის სპორტკლუბის სამბისტებმა მიაღწიეს. წლეულს ეს გუნდი თასის გათამაშებაში ვერ გამოვიდა, — წითელწყაროში ჩამოსულ როსტოველ თანაკლუბელებს მასპინძლობდა. მიუხედავად ამისა, ბრძოლა მიმზიდველი და დაძაბული გამოდგა.

პირველივე წრეში კენჭისყრამ ერთმანეთს ორი ძლიერი მეტოქე — ფიზკულტურის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის გუნდები შეახვედრა. გამარჯვება უნივერსიტეტელებს დარჩათ. მათ მომდევნო შეხვედრებშიც ძლიერად იჭიდავეს და გარდამავალი თასიც დაისაკუთრეს. II ადგილისთვის პაექრობაში ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა ოდნავი უპირატესობით სძლია „სპარტაკს".

ქების ღირსნი არიან ახალგაზრდა სამბისტები ჯ. კბილაშვილი, ნ. სალთხუციშვილი (ორივე — უნივერსიტეტი), გ. იოსებაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), რომლებმაც ყველა შეხვედრა წმინდად მოიგეს.

გამარჯვებული გუნდის — უნივერსიტეტის ნაკრების ღირსებას მხოლოდ 8 მოჭიდავე იცავდა (ორ წონაში გუნდს მოჭიდავეები არ გამოუყვანია). აი, ისინიც: ნ. სალთხუციშვილი, გ. შაბუარაშვილი, ჯ. კბილაშვილი, ე. გიგუაშვილი, ზ. ქინქლაძე, ვ. გაბრიჭიძე, რ. ჭიკაიძე, რ. ფერაძე. უნივერსიტეტელთა წარმატება იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ ფ. ჩიკვილაძე ჯერ ამ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი იყო, მერე კი ასპირანტი.

• • •

თბილისის უნივერსიტეტში სამბო დიდი პოპულარობით სარგებლობს. აქაური სპორტსმენები წარმატებით მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში. უნივერსიტეტის სამბისტთა გამარჯვებების ერთ-ერთი თანაავტორია მწვრთნელი ა. ფიცხელაური, რომელიც ნიჭიერი ახალგაზრდების აღსაზრდელად ცოდნასა და ენერგიას არ იშურებს.

აი, ერთი მაგალითი. ამას წინათ უნივერსიტეტის სამბისტებმა წარმატებას მიაღწიეს სამტრედიაში გამართულ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. ამ სასწავლებლის ოთხმა სტუდენტმა ჯ. ჯანანაშვილმა (62 კგ), ე. გიგუაშვილმა (80 კგ), რ. ჭიკაიძემ (93 კგ) და გ. ქამხაძემ (100 კგ) I ადგილები დაისაკუთრეს.

II საპრიზო ადგილები დაიკავეს ნ. სალთხუციშვილმა, ჯ. ცოფურაშვილმა, ქ. გაბრიჭიძემ და მ. ფერაძემ. ჯ. კბილაშვილს წილად ხვდა III ადგილი.

უნივერსიტეტის გუნდი ამ შეჯიბრებაში 9 სპორტსმენით ასპარეზობდა და, როგორც ხედავთ, ყველა პრიზიორთა შორის მოხვდა.

ბ. მაზიაშვილი,
ლ. გენბაშვილი.



მეკლდეურები.

გ. გაბელაშვილის ფოტო.

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა წარმატება

ბუდაპეშტი, 1 ნოემბერი. საქართველოს ტანმოვარჯიშეთა აქ გამართული ამხანაგური მატჩი უნგრეთის მეორე ნაკრებთან სტუმრების წარმატებით აღინიშნა: ქალებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 184,6:184,45, ხოლო ვაჟებმა — 217,5:217,05.

ქალთა შორის I ადგილი დაიკავა თბილისელმა მოსწავლემ ნ. დრონოვამ — 38,35 ქულა. II ადგილზეა ბათუმელი რ. სიხარულიძე — 37,4.

ვაჟებში საუკეთესო იყო თბილისელი ა. ნოზაძე — 55,45 ქულა.

ახლა ერევანში

4 ნოემბერს ერევანში სტარტს აიღებს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების 1956 წლიდან ტრადიციად ქცეული ამხანაგური მატჩი. მსგავსი შეხვედრები უწინ გამართულა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, სოხუმში, სოჭში...

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არიან: დიდოსტატები კერესი (ტალინი), შტეინი (კიევი), გიპსლისი (რიგა), ვაგანიანი (ერევანი), შამკოვიჩი (მოსკოვი), ოსტატები კაპენგუტი (მინსკი), კუზმინი (ბაქო), კ. გრიგორიანი (ერევანი), ჭაბუკები ბელიავსკი (ლვოვი), მაკარიჩევა (მოსკოვი) და ა. პეტროსიანი (ერევანი).

იუგოსლაველთა გუნდში არიან: დიდოსტატები ივკოვი, მატანოვიჩი, პარმა, ლიუბოიევიჩი, საერთაშორისო ოსტატები მინიჩი, კურაიცა, ბუკიჩი, ველიმიროვიჩი, ჭაბუკები მარიანოვიჩი, რადულოვიჩი და ბარლე.

მატჩი შევენინგენის სისტემით (6 ტური) გაიმართება და 15 ნოემბრამდე გასტანს.

[illegible] 19 45

◆ ლონდონი, 1 ნოემბერი. სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის წყალბურთელთა გუნდი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა. „კრისტალ პელასის" აუზში გამართულ სამდღიან ტურნირში მოსკოველებმა დაამარცხეს საფრანგეთის „მარსელი" (15:3) და ადგილობრივი „პოლიტექნიკი" (9:1). ახლა საბჭოთა ჩემპიონებს 19-20 ნოემბერს უწევთ ასპარეზობა ზაგრებში (იუგოსლავია).

[illegible], გოლები, [illegible]

31 ოქტომბერს გაიმართა ორი შეხვედრა. ორივე მატჩში თამაშობდნენ აუტსაიდერები, რომელთათვის თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

„ფახთაქორმა" „ზარიას" უმასპინძლა. დაწინაურდნენ სტუმრები (სტარკოვი), მაგრამ ტაშკენტელებმა თავგამოდებით იბრძოლეს და ვარიუხინის ორი გოლის მეოხებით გაიმარჯვეს — 2:1.

„ყაირათი" შინ შეხვდა „შახტიორს". ალმაათელებმა შეძლეს მატჩის მოგება — 2:1. „ყაირათის" მხრივ ბურთები გაიტანეს ჩებოტარიოვმა (მე-13 წ.) და პიუნოვსკიმ (17), ხოლო „შახტიორიდან" — შესვენებამდე იარემჩენკომ.

„ნევთჩის" შესახებ

პრესაში უკვე იყო გამოქვეყნებული სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის დადგენილება ბაქოს „ნევთჩის" დისკვალიფიკაციის შესახებ საკავშირო ჩემპიონატის სამ დარჩენილ მატჩში სპორტული დისციპლინისა და „ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების დებულების" მოთხოვნათა არაერთი უხეში დარღვევისთვის.

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ თავის სხდომაზე პრინციპში სწორად ცნო ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის დადგენილება. აზერბაიჯანის სპორტკომიტეტმა კოლეგიას მოახსენა, რომ მან მომხდარი ამბები პრინციპულად შეაფასა და მკაცრად დასაჯა უშუალო დამნაშავენი. ფეხბურთელები რ. უულიევი, ა. მირზოიანი, ვ. სემიგლაზოვი, ს. კრამარენკო დისკვალიფიცირებული არიან, ხოლო ა. ბანიშევსკისა და ვ. გაჯიევს მიეცათ პირობითი დისკვალიფიკაცია.

კოლეგიამ გაითვალისწინა, რომ აზერბაიჯანის სპორტკომიტეტმა მკაცრად დასაჯა დამნაშავენი, მიმართა ზომებს „ნევთჩის" კოლექტივში დისციპლინის განმტკიცებისა და თვით გუნდის გადახალისებისთვის, მხედველობაში მიიღო რესპუბლიკის სპორტკომიტეტისა და სხვა ორგანიზაციათა რწმუნება, რომ დამატებითი ღონისძიებანი იქნება გატარებული „ნევთჩიში" მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და შესაძლებლად მიიჩნია ნება დართოს ბაქოელ ფეხბურთელებს ჩაატარონ ჩემპიონატის დარჩენილი მატჩები. ფეხბურთის სამმართველოს დაევალა განსაზღვროს ბაქოს „ნევთჩის" დარჩენილი 3 მატჩის ვადები და ადგილები. ფეხბურთელები რ. უულიევი, ა. მირზოიანი, ვ. სემიგლაზოვი, ს. კრამარენკო და ვ. გაჯიევი დისკვალიფიცირებული არიან. ა. ბანიშევსკი დისკვალიფიცირებულია პირობითად.

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 2 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	29	17	10	2	40—15	44
„არარატი" (ერევანი)	29	12	11	6	35—28	35
„დინამო" (თბილისი)	28	13	7	8	30—33	33
„დინამო" (მოსკოვი)	28	9	12	7	34—19	30
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)	28	10	10	8	28—23	30
„სპარტაკი" (მოსკოვი)	28	8	13	7	33—27	29
„ყაირათი" (ალმა-ათა)	29	9	10	10	35—38	28
„ტორპედო" (მოსკოვი)	28	4	19	5	24—23	27
„კარპატი" (ლვოვი)	29	5	17	7	28—33	27
„ზენიტი" (ლენინგრადი)	29	8	10	11	29—31	26
„დინამო" (მინსკი)	28	8	10	10	30—37	26
ცსკა	29	7	11	11	32—34	25
„ნევთჩი" (ბაქო)	27	8	9	10	28—31	25
„შახტიორი" (დონეცკი)	29	10	4	15	30—35	24
სკა (დონის როსტოვი)	28	8	7	13	30—39	23
„ფახთაქორი" (ტაშკენტი)	28	6	10	12	25—45	22

გათამაშების ცხრილი

I ლიგა

მდგომარეობა 2 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	41	26	9	6	80—29	61
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	41	25	11	5	80—32	61
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	41	21	11	9	55—30	53
„მეტალურგი" (ზაპოროჟიე)	41	15	14	12	48—37	44
„მეტალისტი" (ხარკოვი)	41	18	7	16	50—45	43
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე)	41	18	7	16	51—57	43
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	41	17	8	16	53—40	42
„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)	41	13	15	13	43—42	41
„დინამო" (ლენინგრადი)	41	14	12	15	35—39	40
„შახტიორი" (ყარაგანდა)	41	13	13	15	42—45	39
„ტორპედო" (ქუთაისი)	41	12	15	14	45—50	39
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	41	13	13	15	33—38	39
„პამირი" (დუშანბე)	41	16	7	18	40—50	39
„შინიკი" (იაროსლავლი)	41	16	6	19	41—51	38
„კუზბასი" (კემეროვო)	41	14	9	18	48—56	37
„სტროიტელი" (აშხაბადი)	41	15	7	19	51—62	37
„დაუგავა" (რიგა)	41	10	16	15	23—32	36
„ალგა" (ფრუნზე)	41	12	12	17	39—50	36
„მოლდოვა" (კიშინიოვი)	41	11	14	16	31—42	36
„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	41	9	16	16	30—45	34
„ვოლგარი" (ასტრახანი)	41	8	17	16	34—58	33
„რუბინი" (ყაზანი)	41	9	13	19	29—51	31

სპარტაკიადის შედეგ
სპარტაკიადის შესახებ

ბოლო წლებში სსრ კავშირის მოფარიკავეებმა საგრძნობლად აიმაღლეს ოსტატობა. ამასთან, ფართოდ გაიზარდა ამ სახეობის გეოგრაფიაც. მათი მაღალი შედეგები მსოფლიოს ჩემპიონატებში და ოლიმპიურ თამაშებში ნათლად მეტყველებს, რომ საბჭოთა სპორტსმენები სადღეისოდ მსოფლიო ფარიკაობაში მოდის კანონმდებლები და ფავორიტები არიან.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ვენაში (ავსტრია) გამართულ მსოფლიო პირველობაში საბჭოთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში 18 ქალაქის წარმომადგენლები გამოდიოდნენ, საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა, ხოლო მისი 12 წევრი (გუნდში 20 სპორტსმენია) ოქროს მედლებით დაჯილდოვდა. ოთხ-ოთხმა კაცმა ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოები მიიღო.

საბჭოთა ფარიკაობის მასობრიობის უტყუარი ფაქტია ის, რომ, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ჩათვლის სისტემის სიმკაცრის მიუხედავად (ქულები დაერიცხათ მხოლოდ 8 საუკეთესო მონაწილეს და გუნდს), პირად და გუნდურ შეჯიბრებებში 14 რესპუბლიკის მოფარიკავეებმა შეასრულეს ჩასათვლელი ნორმატივი და ქულები შემატეს თავიანთ კოლექტივებს.

ამდენად, ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ ძნელია საკავშირო ჩემპიონატებში წარმატების მოპოვება. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს საბჭოთა კავშირში არის 10-12 სპორტსმენი და 6-8 გუნდი ფარიკაობის თითოეულ სახეობაში, რომლებსაც საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის უნარი შესწევთ.

V სპარტაკიადა — V ადგილი. ასე დამთავრდა საქართველოს მოფარიკავეთა რვადღიანი დაძაბული ბრძოლები მოსკოვის „კრილია სოვეტოვის" სპორტის სასახლეში. კარგია თუ არა ეს შედეგი?

ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდე, შეგახსენებთ, რომ საქართველოს მოფარიკავეებს წინა სპარტაკიადებზეც ასეთივე შედეგები ჰქონდათ. მხოლოდ ერთხელ, 1959 წელს, II სპარტაკიადაში გავიდა ჩვენი გუნდი IV ადგილზე.

თავი და თავი — ბავშვებთან მუშაობა

როცა ამა თუ იმ ასპარეზობისთვის ემზადებიან, მწვრთნელებიც და სპორტსმენებიც პირველ ყოვლისა ითვალისწინებენ როგორც თავიანთ, ისე მეტოქის შესაძლებლობებს, ადგენენ პერსპექტიულ გეგმას და სპორტული წვრთნის პროცესს მას განსახორციელებლად წარმართავენ. ხალხთა V სპარტაკიადაში საქართველოს მოფარიკავეების საუკეთესო და რეალური ადგილი მხოლოდ მეხუთე იყო, რადგან დღეისთვის ჩვენს კოლექტივს არ შეუძლია უპირატესობა მოიპოვოს IV ადგილზე გასულ მოსკოვის ძლიერ გუნდთან. თავად განსაჯეთ, მოსკოვის ნაკრების შემადგენლობაში არიან მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ა. ზაბელინა, გ. გოროხოვა, ნ. ივანოვა, ი. რილსკი, ლ. რომანოვი და სხვ. რაც შეეხება სპარტაკიადის პირველ სამ უძლიერეს გუნდს — რსფსრ-ს, ბელორუსიისა და უკრაინის მოფარიკავეებს, მათთან გამარჯვებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ვთქვათ, რომ ჩემპიონის დამარცხება შეუძლებელია, მაგრამ ფარიკაობა ისეთი სახეობაა, სადაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც მაღალ ოსტატობას, ისე სატურნირო გამოცდილებასაც. ასეთი მოფარიკავეები კი დღესდღეობით ჩვენ თითქმის არ გვყავს.

რაკი სიტყვა ოსტატობის დონეზე ჩამოვარდა, ნება მომეცით წარმოგიდგინოთ სპარტაკიადაში მონაწილე საქართველოს მოფარიკავეთა გუნდი.

IV სპარტაკიადასთან შედარებით შემადგენლობა 60 პროცენტით განახლდა. გუნდის წევრებიდან ხუთი პირველად გამოდიოდა ასეთი მასშტაბის ასპარეზობაში, არ გვყავდა სპორტსმენები, რომლებიც ფინალში გასვლას შეძლებდნენ (ფინალში 8 მოფარიკავე გამოდის). რაც შეეხება გუნდური პირველობის მონაწილე ქალებს, რაპირით, ხმლით და დაშნით მოფარიკავე ვაჟებს, მათ წინაშე დასმული იყო კონკრეტული ამოცანა — დაეკავებინათ ადგილები 8-8 უძლიერეს კოლექტივს შორის, მოეპოვებინათ 20 ქულა მაინც და საერთო გუნდური V ადგილი.

ჯერ კიდევ ორი წლით ადრე სპარტაკიადის დაწყებამდე დაგეგმილი იყო საწვრთნელი მეცადინეობის ყოველი დღე და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა. მზადების პერიოდში ჩატარდა ერთობლივი საწვრთნელი შეკრებები, შეჯიბრებები რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთისა და მოსკოვის უძლიერეს გუნდებთან. ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ დადებითად გადაგვეწყვიტა წვრთნის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა — ეგრეთ წოდებული სპორტული ფორმის გეგმაზომიერი განვითარება და მისი უმაღლესი დონის მიღწევა დიდი სპარტაკიადისთვის.

ჩემი აზრით, ქართველ მოფარიკავეთა წინაშე დასმული ამოცანა დადებითად გადაწყდა. გუნდმა თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინა, საერთო V ადგილი დაიკავა და საქართველოს დელეგაციას 28 ქულა შემატა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქალთა გუნდი (ლ. კოხრეიძე, რ. კეკელია-სურმავა, ნ. ლაბაძე, დ. ბუხრაშვილი, დ. ჩიქოვანი), რომელმაც დაამარცხა ჯერ ყაზახეთის, შემდეგ კი უკრაინის ძლიერი კოლექტივები და ნახევარფინალში გავიდა. ფინალის საგზურისთვის ბრძოლა მას მოსკოვის მოფარიკავეებთან მოუხდა და წააგო ანგარიშით 6:9. დაძაბული გამოდგა ბრინჯაოს მედლებისთვის რუსეთის ფედერაციის გუნდთან შეხვედრა. როცა ანგარიში იყო 8:8, გამარჯვების ბედი გადაწყვიტა მხოლოდ ორმა ჩხვლეტამ. ჩვენებმა IV ადგილი დაიკავეს. ლ. კოხრეიძემ ყველა ბრძოლა მოიგო.

რაპირით მოფარიკავე ვაჟებმა პირველ შეხვედრაში ანგარიშით 9:6 დაამარცხეს აზერბაიჯანელი კოლეგები და მეოთხედფინალში გავიდნენ. მოსკოვის გუნდთან წაგების შემდეგ მათ ზედიზედ ორ მეტად ძნელ გამარჯვებას მიაღწიეს უზბეკეთისა და სომხეთის წარმომადგენლებთან, რითაც V ადგილი გაინაღდეს.

ამ ჩემპიონატში თითქმის ყველაზე თანაბარი ძალის გუნდები დაშნით ფარიკაობაში გამოდიოდნენ. ამიტომ იყო, რომ პირად პირველობაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით, კენჭისყრით, საქართველოს სპორტსმენებს პირველი შეხვედრა მოსკოველებთან მოუხდათ. ჩვენი გუნდის წევრმა ი. ვახროვმა ოთხივე შეხვედრა წააგო, მაგრამ გ. კოსტავამ, შ. სულამანიძემ და ი. სიხარულიძემ გამარჯვებისთვის საკმარისი შეხვედრები მოიგეს და მოსკოველი დაშნით მოფარიკავეები 8 უძლიერეს გუნდს მიღმა დატოვეს. მომდევნო შეხვედრა მათ ანგარიშით 7:8 წააგეს ორი უკანასკნელი სპარტაკიადის მესამე პრიზიორთან — ესტონეთის ძლიერ გუნდთან. ტაჯიკეთის წარმომადგენლებთან გამარჯვებით ჩვენს დაშნით მოფარიკავეებს VII ადგილი და 4 ქულა ხვდათ.

ხმლით მოფარიკავეებმა თავიანთი პირველი შეხვედრა ნახევარფინალის საგზურისთვის უკრაინის გუნდთან გამართეს. თავდაპირველად ბრძოლები თანაბარი იყო — 2:2. შემდეგ ქართველი სპორტსმენები დაწინაურდნენ და იგებდნენ შეხვედრას ანგარიშით 6:3. გამარჯვებისთვის ორი ბრძოლის მოგება იყო საჭირო. სწორედ ამ მომენტში ვერ აუბეს მხარი გუნდის ვეტერანს ნ. ასათიანს, მ. სახვაძემ, ა. გაგულაშვილმა და დ. შარაშენიძემ. ქართველი ესპადრონისტები დამარცხდნენ — 6:9 (ნ. ასათიანმა ოთხიდან 3 შეხვედრა მოიგო).

მერე V ადგილისთვის ბრძოლაში მათ ანგარიშით 7:9 წააგეს ლენინგრადელებთან და ჩვენი ნაკრები VI ადგილს დასჯერდა.

1969 წელს კადიევკის საკავშირო პირველობაში წარუმატებლობის შემდეგ (საერთო გუნდური VIII ადგილი) ჩვენმა გუნდმა შეძლო კვლავ დაებრუნებინა მოწინავე პოზიციები და საბჭოთა კავშირის უძლიერესთა ხუთეულში მოხვედრილიყო.

მაშ ასე, გუნდურ ასპარეზობაში ქართველ მოფარიკავეთა გამოსვლით კმაყოფილი ვართ, რადგან, როგორც უკვე მოგახსენეთ, IV ადგილზე მყოფი მოსკოვის ნაკრების დამარცხება ჩვენი გუნდისთვის ჯერჯერობით აუხდენელი ოცნებაა.

რაც შეეხება პირად ტურნირში წარუმატებლობას, ამას თავისი გასამართლებელი მიზეზი აქვს. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში თაობათა ცვლა ხდება. მოგეხსენებათ, ამას არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა შედეგებზე.

რა თქმა უნდა, თაობათა ცვლამ შეიძლება უმტკივნეულოდაც ჩაიაროს, თუ სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა ბავშვებთან გეგმაზომიერი იქნება. ჩვენ კი ერთეული სპორტსმენების მიღწევებით დავკმაყოფილდით და შევასუსტეთ ბავშვებთან საქმიანობა. რა დასამალია, უკვე რამდენიმე წელია არ მოგვემზადებია ბავშვთა საკავშირო ჩემპიონატების არათუ ჩემპიონები, არამედ პრიზიორებიც კი.

აი, ეს არის სპარტაკიადის პირად პირველობაში ჩვენი წარუმატებლობის მთავარი და ძირითადი მიზეზი.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ და მწვრთნელთა საბჭომ უნდა გააუმჯობესონ ბავშვებთან მუშაობა. დროულად უნდა შეიქმნას სპეციალიზებული საფარიკაო სკოლები, რესპუბლიკის ნაკრები უნდა დაკომპლექტდეს ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ქართული ფარიკაობის კარგი ტრადიციების აღორძინებას.

გ. მესხი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი.

მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდები

ცურვა

1971 წლის 1 ნოემბრისთვის

ქალები

სახეობა	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
თავისუფალი სტილი			
100 მ	58,9	დ. ფრეზერი (ავსტრალია)	1964
	59,8	გ. ვეცკო (გდრ)	1970
	1.01,7	ნ. მატიუხინა (მოსკოვი)	1971
200 მ	2.06,5	შ. გოულდი (ავსტრალია)	1971
	2.08,2	გ. ვეცკო (გდრ)	1970
	2.18,9	ტ. ზოლოტნიცკაია (ნოვოსიბირსკი)	1970
400 მ	4.21,9	შ. გოულდი (ავსტრალია)	1971
	4.31,8	ჰ. გუსხოტენი (ჰოლანდია)	1971
	4.45,1	ნ. პოპოვა (ხარკოვი)	1971
800 მ	8.59,4	ე. სიმონსი (აშშ)	1971
	9.17,1	გ. ვეგნერი (გდრ)	1971
	9.45,9	ო. პეტრუსევა (მოსკოვის ოლქი)	1971
ბრასი			
100 მ	1.14,2	კ. ბოლი (აშშ)	1968
	1.14,7	გ. სტეპანოვა (სსრ კავშირი)	1971
	1.14,7	გ. სტეპანოვა (მოსკოვი)	1971
200 მ	2.38,5	კ. ბოლი (აშშ)	1968
	2.40,7	გ. სტეპანოვა (სსრ კავშირი)	1971
	2.40,7	გ. სტეპანოვა (მოსკოვი)	1971
ბატერფლაი			
100 მ	1.04,1	ე. ჯონსი (აშშ)	1970
	1.04,5	ა. კოკი (ჰოლანდია)	1965
	1.06,7	ვ. ტუტაევა (მოსკოვი)	1971
200 მ	2.18,4	ე. დანიელი (აშშ)	1971
	2.24,4	ა. დიარმატი (უნგრეთი)	1971
	2.25,7	ვ. ტუტაევა (მოსკოვი)	1971
გულაღმა			
100 მ	1.05,6	კ. მიუირი (სამხრ. აფრ. რესპ.)	1969
	1.06,5	ა. დიარმატი (უნგრეთი)	1971
	1.07,8	თ. ლეკვეიშვილი (თბილისი)	1970
200 მ	2.21,5	ს. ეთვუდი (აშშ)	1969
	2.24,4	ა. დიარმატი (უნგრეთი)	1971
	2.27,1	თ. ლეკვეიშვილი (თბილისი)	1970
კომპლექსური			
200 მ	2.25,5	კ. კოლბი (აშშ)	1968
	2.27,5	მ. გიუნტერი (გდრ)	1969
	2.29,8	ლ. მილენინა (ვოროშილოვგრადი)	1970
400 მ	5.04,7	კ. კოლბი (აშშ)	1968
	5.07,9	ე. შტოლცე (გდრ)	1970
	5.14,2	ნ. პეტროვა (მოსკოვი)	1971

ვაჟები

სახეობა	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
თავისუფალი სტილი			
100 მ	51,9	მ. სპიტცი (აშშ)	1970
	52,7	მ. რუსო (საფრანგეთი)	1970
	52,9	ვ. ბურე (მოსკოვი)	1971
200 მ	1.53,5	მ. სპიტცი (აშშ)	1971
	1.55,2	ჰ. ფასნახტი (გფრ)	1970
	1.56,4	გ. კულიკოვი (რიგა)	1970
400 მ	4.02,1	თ. მაკბრინი (აშშ)	1971
	4.02,6	გ. ლარსონი (შვეცია)	1970
	4.09,9	ა. სამსონოვი (მოსკოვის ოლქი)	1970
1500 მ	15.57,1	დ. კინსელა (აშშ)	1970
	16.19,9	ჰ. ფასნახტი (გფრ)	1970
	16.45,2	ი. ლისეცკი (თბილისი)	1971
ბრასი			
100 მ	1.05,8	ნ. პანკინი (სსრ კავშირი)	1969
	1.05,8	ნ. პანკინი (სსრ კავშირი)	1969
	1.05,8	ნ. პანკინი (მოსკოვი)	1969
200 მ	2.23,5	ბ. ჯობი (აშშ)	1970
	2.25,4	ნ. პანკინი (სსრ კავშირი)	1969
	2.25,4	ნ. პანკინი (მოსკოვი)	1969
ბატერფლაი			
100 მ	55,0	მ. სპიტცი (აშშ)	1971
	55,7	რ. მათესი (გდრ)	1971
	57,8	ვ. ნემშილოვი (სოჭი)	1969
200 მ	2.03,3	ჰ. ფასნახტი (გფრ)	1971
	2.03,3	ჰ. ფასნახტი (გფრ)	1971
	2.07,2	ვ. შარიგინი (მოსკოვი)	1971
გულაღმა			
100 მ	56,7	რ. მათესი (გდრ)	1971
	56,7	რ. მათესი (გდრ)	1971
	59,7	ი. გრივენიკოვი (მოსკოვი)	1971
200 მ	2.05,6	რ. მათესი (გდრ)	1971
	2.05,6	რ. მათესი (გდრ)	1971
	2.11,3	ლ. დობროსკოკინი (ვოლგოგრადი)	1971
კომპლექსური			
200 მ	2.09,3	გ. ლარსონი (შვეცია)	1970
	2.09,3	გ. ლარსონი (შვეცია)	1970
	2.12,3	მ. სუხარევი (ასტრახანი)	1971
400 მ	4.31,0	გ. ჰოლი (აშშ)	1970
	4.36,2	გ. ლარსონი (შვეცია)	1970
	4.41,1	მ. სუხარევი (ასტრახანი)	1971

წლეულს უკეთესი პირობები გვექნება

ზამთრის ახალი სპორტული სეზონი მდიდარია შეჯიბრებებით. საპოროს თეთრი ოლიმპიადისთვის ძალთა გენერალური შემოწმება სწორედ ამ ზამთარს მოხდება, ეს კი უამრავ ტურნირებს გვპირდება უმაღლეს დონეზე. სსრ კავშირის მოთხილამურეები სწორედ ჩვენს რესპუბლიკაში — ბაკურიანში მოემზადებიან იაპონიის სარბიელისთვის. ბაკურიანის თეთრ ტრასებს სხვა სტუმრებიც ეყოლება, მისი ბაზები მთელი სეზონის მანძილზე გადატვირთული იქნება.

ზამთრის ახალი სპორტული სეზონისთვის ბაკურიანის ბაზების მზადყოფნაზე, მოსალოდნელ ტურნირებზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარი მწვრთნელი შ. ნავერიანი.

ვბეჭდავთ ამ ინტერვიუს.

— ბაკურიანმა შარშანდელ სეზონში რამდენიმე დიდი მასშტაბის შეჯიბრებას უმასპინძლა. სპორტსმენები, მსაჯები, სტუმრები კმაყოფილი დარჩნენ, თუმცა შარშან ბაზები ყოველმხრივ აღჭურვილი როდი გვქონდა. წლეულს სხვა მდგომარეობაა. მწყობრში ჩადგება 70-მეტრიანი ტრამპლინიც, რომლის მშენებლობაზე მიწის სამუშაოები უკვე დამთავრებულია. მშენებლებმა პროფილის მოსაწყობად 55 ათასი კუბმეტრი მიწა მოთხარეს, რაც საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის ტრესტის მმართველის მოადგილის თ. გარსევანიშვილის უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგია. მართალია, ახალი სეზონისთვის სამსაჯო კოშკის კაპიტალური ნაგებობისა და ლიფტის მოწყობა არ ხერხდება, მაგრამ ახალ ტრამპლინზე შეჯიბრებების გამართვას ეს ხელს ვერ შეუშლის. 70-მეტრიანი ტრამპლინის გვერდით გაისისთვის აიგება 45-მეტრიანიც, რომელსაც ზაფხულში საცარჯიშოდ ხელოვნური საფარიც ექნება. ერთი სიტყვით, ბაკურიანში ტრამპლინების პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება.

● როგორც ცნობილია, 90-მეტრიანი ტრამპლინი შარშან სეზონს კეთილმოწყობილი ვერ შეხვდა. წლეულს როგორღაა საქმე?

— არსებული ხარვეზების მიუხედავად, ამ ტრამპლინზე გასულ სეზონში რამდენიმე დიდი ტურნირი მოეწყო და წარმატებითაც. წლეულს ზაფხულში ყველა ნაკლი უნდა გამოსწორებულიყო. მარტო მარცხენა ფერდობის დასამუშავებლად 4000 კუბმეტრი მიწა უნდა მოეთხარათ, მაგრამ მშენებლებმა პირობა ვერ შეასრულეს. სხვა მხრივ ნაგებობა წლეულსაც კარგი მასპინძელი იქნება.

● რას იტყვით სამთო ტრასებზე, ამ სახეობაში შეჯიბრებებზე?

— მიმდინარეობს კოხტაგორის საბაგირო გზის კაპიტალური რემონტი. გამოიცვლება გვარლი, სავარძლები, სამართავი პულტი, ზედა მოსაბრუნებელი სადგური. კოხტა პირველის ტრასები მთლიანად გადაკეთდა: პროფილი გაფართოვდა და გასწორდა, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვით სპორტსმენებს, რომელთაც საქართველოს სამთომოთხილამურეთა ნაკრების მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ი. ოგანეზოვი ედგა სათავეში.

მთავრდება კოხტა II — მიტარბის სწრაფდაშვების ტრასის გაყვანა. განზრახული გვაქვს წლეულს ამ ტრასაზე პირველი ნაკვალევი გავავლოთ — შეჯიბრება ჩავატაროთ. ოღონდ ეგ არის, საბაგირო გზა არა გვაქვს. ეს საკითხი საბოლოოდ გაისად გადაწყდება. ახალი საბაგირო გზისთვის ლენინგრადიდან უკვე მივიღეთ სავარძლები, გვარლი, მოსაბრუნებელი სადგურები. ეს ყველაფერი გაისისთვის დამონტაჟდება. მიტარბს, სადაც ფინიშია დაგეგმილი, კოხტა მეორესთან 1300 და 1200 მეტრიანი საბაგირო გზები დააკავშირებს. ტურიზმის რესპუბლიკურმა საბჭომ დაიწყო კოხტა მეორის ძირითად წვერამდე (600 მ) კიდული საბაგირო გზის გაყვანა, რაც სპორტსმენებს ძველი საბაგირო გზის გამოყენებით სტარტთან მისვლას საგრძნობლად გაუადვილებს.

უფრო გვიან ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო გააკეთებს საბაგირო გზას მიტარბიდან კოხტა პირველის ქვედა სადგურამდე. სამთომოთხილამურეთა წვრთნას ხელს შეუწყობს, აგრეთვე, ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის 3 პორტატული (თითო 200-მეტრიანი) კიდული საბაგირო გზა. ერთი პარკში მოეწყობა და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებსა და „დინამოს" სპორტსკოლას მოემსახურება, მეორე — კოხტაგორაზე, სპეციალური სლალომის ტრასის გვერდით, მესამე კი გიგანტური სლალომის ტრასაზე, როგორც დამხმარე ნაგებობა.

● სსრ კავშირის მოთხილამურეებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ დიდი საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის ყოველწლიურად ბაკურიანში მოემზადონ. როგორი იქნება სარბენი ტრასები?

— დროებითი ტრასები შარშანწინ მოეწყო, კაპიტალური კი ახლა იგება. მიმდინარეობს პროფილის დამუშავება, ტრასებზე 5 ბოგირი აიგება. აქ იქნება 5, 10 და 15-კილომეტრიანი დისტანციები, რომელთა ავტორებმა ყველა პირობები გაითვალისწინეს. ტრასები საკმაოდ რთულია. ტრასებისა და ბაზების კეთილმოწყობაში აქტიურად მონაწილეობდნენ სათხილამურო სპორტის ენთუზიასტები — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი თ. ფხაკაძე და თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი კ. ლომინაძე, რომლებიც ზაფხულის ყველა შაბათ-კვირას აქ ატარებდნენ, მხარში უდგნენ მშენებლებს.

● რა შეჯიბრებებს იხილავენ სათხილამურო სპორტის მოყვარულები ბაკურიანში?

— იანვარში დაიწყება სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრთა წვრთნა ხტომაში, რბენასა და ორჭიდში. 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გათამაშდება სსრ კავშირის თასი, ორჭიდელები კი თასისთვის 70-მეტრიან ტრამპლინზე შეეჯიბრებიან ერთმანეთს. მორბენლებიც ბაკურიანში გაარკვევენ ქვეყნის თასის მფლობელის ვინაობას. აქვე მოეწყობა სამთომოთხილამურეთა საკავშირო თასის ერთ-ერთი ეტაპი — „ლელოს" პრიზის გათამაშება. დაგეგმილია თებერვალში ჩატარდეს საბჭოთა კავშირის პირველობა 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში და მეორე საერთაშორისო შეჯიბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე. მარტში გაიმართება საშუალო ასაკის მოზარდთა საკავშირო პირველობა სამთოსათხილამურო სპორტში. აღარაფერს ვამბობ ცენტრალური საბჭოების, საქართველოს ჩემპიონატებზე.

● კიდევ რა სიახლეა რესპუბლიკაში ზამთრის სპორტის განვითარების მხრივ?

— ბაკურიანის ბაზები ზამთრის სეზონს მომზადებული ხვდებიან. დამთავრდა რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტის ბაზა-პანსიონატის კაპიტალური რემონტი. გადაწყდა 1972 წლის იანვრიდან ბაკურიანში გაიხსნას „დინამოს" ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლა 250 აღსაზრდელით. კეთილმოეწყო საავტომობილო გზა რკალური გზატკეცილიდან კოხტაგორის საბაგირო გზის ქვედა სადგურამდე. შეირჩა ადგილი საციგაო ტრასისთვის. რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტმა გადაწყვიტა ტრასა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტებს დააპროექტებინოს. ამ მიზნით ბაკურიანში უკვე გახლდათ იქაური სპეციალისტი.

● რა შეიძლება გაკეთდეს რესპუბლიკის მოთხილამურე ქალთა გუნდის ჩამორჩენის გამოსწორებისთვის?

— ამ საკითხზე რესპუბლიკის პროფკავშირისა და ფიზკულტურის ხელმძღვანელ ორგანიზაციებში რამდენიმეჯერ იმსჯელეს და ღონისძიებებიც დასახეს. თოვლიან რაიონებს დაევალათ ძლიერ მოთხილამურე ქალთა გამოვლენა-აღზრდისთვის მეტი იზრუნონ. რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლას ბაკურიანში ქალებისთვის სპეციალური ჯგუფის გახსნა დაევალა. სპორტსაზოგადოებებს სათანადო მითითებანი მიეცათ.

„ლელოს" ინტერვიუ

● რას გვეტყვით რესპუბლიკის სხვა თოვლიან რაიონებში სათხილამურო სპორტის განვითარების პერსპექტივებზე?

— როგორც ცნობილია, ბორჯომის რაიონის შემდეგ საქართველოში სათხილამურო სპორტის განვითარებაში ყველაზე მეტი წვლილი მესტიის რაიონს შეაქვს. ამ მუშაობის შემდგომი გაშლა-გაფართოებისთვის ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მესტიელებს 200-მეტრიანი საბაგირო გზა მისცა, იგი უკვე ადგილზე ჩაიტანეს. გზის დამონტაჟებისთვის საჭირო მიწის სამუშაოები სპორტსმენებმა საკუთარი ძალებით შეასრულეს. საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებაა ტურიზმის რესპუბლიკურმა საბჭომ მესტიის რაიონში 1973 წლისთვის კიდული საბაგირო გზა ააგოს. ეს ყველაფერი კარგია, შემდეგ კი ზრუნვა არც სხვა თოვლიან რაიონებს უნდა მოვაკლოთ.

ჯერჯერობით დაუმარცხებელი ლიდერი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 ტურის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„უნივერსიტეტი" (კრასნოდარი)	3	3	0	0	49—43	6
„კუნცევო" (მოსკოვი)	3	2	1	0	49—42	5
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	3	2	0	1	54—50	4
მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე)	3	1	1	1	44—44	3
ცსკა	3	1	0	2	56—52	2
საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი)	3	1	0	2	55—55	2
„ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე)	3	0	2	1	49—53	2
„ბურევესტნიკი" (ტაშკენტი)	3	0	0	3	58—70	0

ლუცკში, ხელბურთელ ვაჟთა ზამთრის საკავშირო პირველობის მესამე ტურში, თბილისის „ბურევესტნიკმა" დაამარცხა უმაღლესი ლიგის დებიუტანტი — ტაშკენტის „ბურევესტნიკი" — 24:20. პირველი ტაიმი თბილისელებმა 5 ბურთის სხვაობით მოიგეს (14:9).

სატურნირო ცხრილში განიმტკიცა მდგომარეობა კრასნოდარის „უნივერსიტეტმა", რომელმაც ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა: კრასნოდარელებმა ამჯერად დაამარცხეს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ძლიერი კოლექტივი — 19:17.

ამ ტურის დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — „კუნცევო" (მოსკოვი) 14:14, მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე)— ცსკა 17:16.

ხელბურთი

სოხუმის კომკავშირისა და ფიზკულტურის კომიტეტების თაოსნობით ჩატარდა ქალაქის პირველობა საშუალო ასაკის კალათბურთელ ჭაბუკთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ 20-მდე სკოლის ნაკრები გუნდები.

ერთთვიანი საინტერესო ბრძოლის შემდეგ გარდამავალი თასი — „ვერცხლის კალათი" მე-11 ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მოიპოვეს.

ს უ რ ა თ ზ ე: „ვერცხლის კალათის" მფლობელი გუნდი.

გ. იაშვილის ტექსტი და ფოტო.

„სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი

ტალინი, 31 ოქტომბერი. გუშინ აქ გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, 30-ე ტირაჟი. იღბლიანი შემდეგი ნომრები გამოდგა: 14 (ფრენბურთი), 16 (ტანვარჯიში), 25 (თხილამურები-ტრამპლინი), 26 (მოტობურთი), 31 (ცურვა), 42 (ძალოსნობა).

ახალი ამბები-71

● **რიგა, 31 ოქტომბერი.** კალათბურთელ ვაჟთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში მასპინძელთა — სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორთა გარდა შვეციისა და ფინეთის გუნდებიც მონაწილეობდნენ. I ადგილი ესტონელებმა დაიკავეს.

● **ჩელიაბინსკი, 31 ოქტომბერი.** დღეს აქ გაიმართა სსრ კავშირის ჰოკეისტთა ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი: ადგილობრივმა „ტრაქტორმა" გორკის „ტორპედოს" უმასპინძლა. თამაში ფრედ დამთავრდა — 5:5.

● **მუკაჩოვო, 31 ოქტომბერი.** კარპატის ძირში დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია პირველი საკავშირო მძლეოსნური კროსის დასკვნითმა ეტაპმა გაზეთ „სელსკაია ჟიზნის" პრიზზე. შეჯიბრებამ, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა, თითქმის 2 მილიონ მორბენალს მოუყარა თავი. 18 წლამდე ასაკის გოგონათა შორის 500 მ ყველაზე სწრაფად გაირბინა როვნოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტმა თ. გალანიუკმა. იუნიორ ქალიშვილებში 1000-მეტრიან დისტანციაზე თავი გამოიჩინეს დებმა ნინა და ტატიანა თორგუნოვებმა — ვოროშილოვგრადის ოლქის ერთ-ერთი საბჭოთა მეურნეობის მუშებმა. ნინა ფინიშთან პირველი იყო, ხოლო ტატიანა — მეოთხე. 2 კილომეტრზე შეჯიბრებამ წარმატება იანინა შლაპიკენეს (ლიტვა) მოუტანა. ჭაბუკთა შორის 3 კილომეტრზე რბენაში პირველი იყო ვ. მონჩაკი (ვინიცის ოლქი). ყირიმის ოლქის სოფელ ვასილიევკის წარმომადგენელმა მ. ონუჩინმა ყველას აჯობა 5-კილომეტრიან დისტანციაზე, ხოლო 8 კილომეტრზე რბენაში პირველი იყო ნ. კურტეევი (უდმურტეთი). გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს უკრაინის კროსმენებმა.

● **სოხუმი, 31 ოქტომბერი.** საბჭოთა კავშირის თასი საგზატკეცილო ველორბოლაში „ტრუდის" ქალთა გუნდმა მოიგო. საინტერესოდ წარიმართა ინდივიდუალური რბოლა 25 კილომეტრზე (ამ სახეობაში ერთდროულად სსრ კავშირის ჩემპიონატის მედლებიც გათამაშდა). ფინიშთან პირველი იყო „ტრუდის" წარმომადგენელი ნ. კარატაევა. ჯგუფური რბოლა — კრიტერიუმი სპრინტში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, ლოკომოტიველმა გ. ცარიოვამ მოიგო. მან შესანიშნავად დაძლია რთული, 40-კილომეტრიანი დისტანცია. ვაჟთა შორის თასს დაეუფლნენ დინამოელები. ბოლოს გამართული შეჯიბრებები ასე დამთავრდა: 138 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში ყველას აჯობა ბურევესტნიკელმა ვ. სკოსირევმა (3:30.05), ხოლო 80-კილომეტრიან კრიტერიუმში — რიგის არმიელმა ვ. გალინაუსკასმა.

● **მინსკი, 31 ოქტომბერი.** მოკრივეთა გუშინ დამთავრებულმა ტრადიციულმა საერთაშორისო ტურნირმა ადგილობრივ სპორტის სასახლეში ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. შეჯიბრება რამდენიმე სიურპრიზით აღინიშნა. მაგალითად, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონმა მსუბუქ წონაში, ალმაათელმა ო. გუროვმა ფინალში წააგო გროდნოელ ვ. პრელოვსკისთან, სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა, მეხიკოს ოლიმპიადის მონაწილემ, ნიკოლაეველმა ვ. ზაპოროჟეცმა (მეორე უმძიმესი წონა) კი მოსკოველ ბ. ზარიკტუევთან. მარცხის სიმწარე იწვნიეს, აგრეთვე, გდრ-ის ექს-ჩემპიონმა კ. ვერნერმა, რუმინეთის ექს-ჩემპიონმა კ. ბუმბამ და სხვა გამოჩენილმა მოკრივეებმა. ზემოდასახელებულ გამარჯვებულთა გარდა I ადგილები დაიკავეს: ევროპის ჩემპიონმა, ორენბურგელმა ვ. ჩერნიშოვმა (მძიმე წონა), კიეველებმა ო. ლიფანოვმა (პირველი ქვესაშუალო), ო. ტოლკოვმა (პირველი საშუალო), ერევნელმა ს. დურიანმა (პირველი უმძიმესი), პოლონეთის ჩემპიონმა ი. კრამპამ (მძიმე), მინსკელებმა ვ. ლივაიმ (ქვემსუბუქი), ა. ბერეზიუკმა (მეორე ქვესაშუალო), ალმაათელმა გ. დიაჩუკმა (ქვემძიმე). მეორე საშუალო წონაში შეჯიბრება არ გამართულა, ვინაიდან მხოლოდ ერთი მონაწილე იყო. შეჯიბრებაში გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, სსრ კავშირისა (პირველი და ახალგაზრდული) და ბელორუსიის გუნდები მონაწილეობდნენ.

● **ბუდაპეშტი, 31 ოქტომბერი.** მაგიდის ჩოგბურთელ ქალთა შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩში ადგილობრივმა „სტატისტიკამ" ანგარიშით 5:1 დაამარცხა „ზენტა" (იუგოსლავია).

● **ლუგანო (შვეიცარია), 31 ოქტომბერი.** აქ გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება 10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში. ყველას აჯობეს ჩეხოსლოვაკიელებმა. ბილეკმა ტრასის რეკორდი დაამყარა — 44.39,0. II ადგილზეა მისი თანაგუნდელი ბენჩიკი, რომელიც გამარჯვებულს 8 წამით ჩამორჩა. მესამე იყო რუმინელი გასიტუ — 44.42,0.

● **ფოთი, 31 ოქტომბერი.** დამთავრდა რუსულ შაშში სსრ კავშირის ვაჟთა XXXI ჩემპიონატი. ბოლო, XIX ტურის წინ ლიდერობდა ლენინგრადელი დიდოსტატი ვ. ლიტვინოვიჩი, რომელსაც 11,5 ქულა ჰქონდა. დასკვნით ტურში მისი მეტოქე იყო უკრაინის ჩემპიონი ა. რაზვალინოვი. პარტიის ყაიმით დამთავრების შემთხვევაში ლიტვინოვიჩი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალს დაისაკუთრებდა, მაგრამ ლენინგრადელმა დიდოსტატმა მშვიდობიან თამაშს შეტევა ამჯობინა, დაამარცხა მეტოქე და საბოლოოდ 12,5 ქულით I ადგილი დაიკავა.

● **სტოკჰოლმი, 31 ოქტომბერი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებით მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ჰელასისა" და შვეიცარიის „სენტ-ოტმარის" ხელბურთელ ვაჟთა გუნდები. გაიმარჯვეს სტუმრებმა (11:9), მაგრამ ვინაიდან პირველი თამაში შვედებმა უკეთესი ბალანსით (18:13) მოიგეს, ისინი მერვედფინალში გავიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი ■ ჭაში ■ ჭადრაკი

ჩვენი წინსვლის დასტური

ყოველი საერთაშორისო ტურნირი მოჭადრაკეთა მეგობრობის ჭეშმარიტი გამოხატულებაა. ფიდე-ს დევიზიც სწორედ ეს არის: „ჩვენ ერთი ოჯახი ვართ". ასეთი იყო ვ. გოგლიძის მემორიალიც, რომელშიც 7 ქვეყნის 14 მოჭადრაკე თამაშობდა. მემორიალის მონაწილეებს ალბათ არასოდეს დაავიწყდებათ ტურნირი, თბილისსა და მცხეთაში გატარებული დღეები.

მემორიალში თითქოს სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის გუნდები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. თითოეულ „გუნდში" შვიდ-შვიდი წევრი იყო. ჩვენს „გუნდში" ორი ქალი თამაშობდა. ამან ბრძოლას სილამაზე შემატა. შეხვედრები მძაფრი და მიმზიდველი გამოდგა.

საბჭოთა მოჭადრაკეებმა უცხოელებთან ასეთი შედეგები აჩვენეს: ვ. ბაგიროვმა 5,5 ქულა მოაგროვა, ნ. გაფრინდაშვილმა — 5, ბ. გურგენიძემ, ე. უბილავამ — 4,5-4,5, თ. გიორგაძემ — 4, ნ. ალექსანდრიამ — 3. უცხოელმა ოსტატებმა მასპინძლებთან ასე ითამაშეს: ბ. ბედნარსკი (პოლონეთი) — 4 ქულა, ი. პშიბლი (ჩეხოსლოვაკია), ფ. პორტიში (უნგრეთი) — 3-3, ი. ტიმანი (ჰოლანდია), ლ. ნავაროვსკი (უნგრეთი) — 2,5-2,5, ნ. რადევი (ბულგარეთი) — 2, ტ. უიტუმენი (მონღოლეთი) — 1,5.

ჩვენმა მოჭადრაკეებმა მაღალი კლასი გამოავლინეს, პარტიები უფრო საინტერესო და შინაარსიანად ითამაშეს და თითქმის ყველა პრიზი დაისაკუთრეს.

იქნებ ვინმე დაეჭვდეს საზღვარგარეთელი მეტოქეების ძალაში, რაკი ისინი ცხრილის მეორე ნახევარში აღმოჩნდნენ. მართალია, უცხოელი მოჭადრაკეები ვარსკვლავები არ იყვნენ, მაგრამ მათგან ზოგი თავისი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების წევრია, ზოგიც პერსპექტიული, საერთაშორისო სარბიელზე ცნობილი ოსტატია. უნდა აღინიშნოს ჩვენი მოჭადრაკეების წინსვლა, მათი ოსტატობა შესამჩნევად დაიხვეწა. მაგალითისთვის დავასახელოთ ახალგაზრდა ოსტატები — 21 წლის უბილავა და 24 წლის გიორგაძე.

უბილავა უკვე ჩამოყალიბებულ მოჭადრაკედ მოგვევლინა. მისი საჭადრაკო ჯავარია პოზიციური თამაში. ჩანს, ბევრი უმუშავია პოზიციური მოძღვრების დასაუფლებლად. გიორგაძის თამაშს მონდომებული მეცადინეობის კვალი ეტყობა. მისთვისაც სასარგებლო გამოდგა ნ. გაფრინდაშვილთან ერთობლივი მუშაობა (თამაზი ნონას სეკუნდანტია). ორივე ახალგაზრდა მოჭადრაკის შემოქმედება უახლოეს მომავალში ახალ წარმატებებს გვპირდება.

შესანიშნავია მემორიალის შემოქმედებითი მხარეც. 91 პარტიას შორის რამდენიმე საუცხოოა. მათგან შეიძლება გამოვყოთ ნ. გაფრინდაშვილის მოგებული პარტიები ვ. ბაგიროვთან, ტ. უიტუმენთან, ე. გუფელდისა და თ. გიორგაძის პარტიები ნ. რადევთან და სხვ. საინტერესო საკუთარი სადებიუტო იდეები გამოიყენა ბ. გურგენიძემ.

დიდი შთაბეჭდილება დატოვა ნ. გაფრინდაშვილის თამაშმა. იგი ყველას მხოლოდ მოგებაზე (როგორც ფიშერი!) ეთამაშებოდა (მხოლოდ თ. გიორგაძესთან პარტიაა გამონაკლისი. მეტოქენი ათიოდე სვლაში დაზავდნენ). მაშინაც კი, როცა ავად იყო, ნონამ რთული ბრძოლა გაუმართა რადევს.

ამ ბოლო ხანს ჭადრაკის დედოფლის ხელოვნება კიდევ უფრო დაიხვეწა. სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ნონამ მემორიალში სსრ კავშირის ვაჟთა სპორტის ოსტატის ნორმატივი გადაჭარბებით შეასრულა. იგი პირველი მოჭადრაკე ქალია, რომელმაც ეს შეძლო.

ნ. ალექსანდრიას მთავარი ამოცანა გახლდათ პრაქტიკული მზადება ა. კუშნირთან პრეტენდენტთა ფინალური მატჩის სათამაშოდ, რომელიც 23 ნოემბერს კისლოვოდსკში უნდა დაიწყოს. ვფიქრობ, ნანამ კარგად ივარჯიშა, შეიძლება ცოტა დაიღალა კიდეც, მაგრამ ეს საშიში როდია — დასვენებისთვის დრო რჩება.

სასიქადულო ქართველ მოჭადრაკეს ვ. გოგლიძეს სჯეროდა, რომ მისი თანამემამულენი თამამად გავიდოდნენ საერთაშორისო სარბიელზე და წარმატებებსაც მოიპოვებდნენ. სწორედ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირებში ქართველ ოსტატებს საყოველთაო აღიარება ხვდათ. ამიტომ მემორიალი ჩვენი საჭადრაკო წინსვლის საუცხოო დასტურია.

თ. გიორგაძე,
მემორიალის მთავარი არბიტრი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ვ. ბაგიროვი

ე. გუფელდი

თ. გიორგაძე

ნ. გაფრინდაშვილი

ბ. გურგენიძე

ე. უბილავა

დასკვნითი აკორდი

ბუენოს-აირესი, 29 ოქტომბერი. „სან-მარტინის" თეატრში მოეწყო ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის საზეიმო დახურვა. საღამოს დაესწრნენ მინისტრები, დიპლომატები, სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

ტ. პეტროსიანმა მადლობა გადაუხადა არგენტინელებს გულღია მიღებისთვის, დიდი ინტერესისთვის, რომელიც მათ მატჩისა და საბჭოთა დელეგაციის მიმართ გამოიჩინეს. რ. ფიშერმა მადლობა უთხრა მატჩის ორგანიზატორებს, ჭადრაკის არგენტინელ გულშემატკივრებს და თავის მეტოქეს — „სპორტული ჯენტლმენობისთვის".

— პეტროსიანი, — თქვა ფიშერმა, — ძალიან კარგად თამაშობდა პირველ პარტიებს. შეიძლებოდა მე ყველა ეს პარტია წამეგო, მაგრამ, როგორც ჩანს, განუწყვეტელი დაძაბულობისა და დაღლილობის გამო ჩემმა მეტოქემ უკლო თამაშს და შევება ვიგრძენი... პეტროსიანი შესანიშნავად იცნობს ჭადრაკის თეორიას, მაგრამ 34 წელი და ტალანტი სპასკის უფრო მრისხანე მეტოქედ აქცევს. სპასკისთვის არ მოვიგია, მაგრამ მინდა შევახსენოთ, რომ არც ალიოხინს დაუმარცხებია კაპაბლანკა მათს გადამწყვეტ მატჩამდე, 1927 წელს ბუენოს-აირესში რომ გაიმართა...

პეტროსიანი: „ჩემთვის გამოცანაა"

ბუენოს-აირესიდან სსრ კავშირში გამგზავრების წინ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ტ. პეტროსიანს საკავშირო რადიოს კორესპონდენტი ს. პერფილიევი შეხვდა. ტ. პეტროსიანმა მას რ. ფიშერთან (აშშ) მატჩში მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარა.

— ფიშერი რომ ძალიან საშიში მეტოქეა, ტაიმანოვთან და ლარსენთან მისმა სენსაციურმა შედეგებმა ცხადყო. რა შეიძლება ითქვას განვლილი ფინალური მატჩის შესახებ? — იკითხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა და თვითონვე უპასუხა: — სამატჩო შეხვედრებში ჩემთვის ყოველთვის ძნელი იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, შებოჭილობისგან გათავისუფლება. ძნელი იყო არ მეფიქრა ქულებზე და, უბრალოდ, ჭადრაკი მეთამაშა. სამწუხაროდ, ეს ვერ შევძელი პირველ პარტიაში, რომელიც, როგორც ცნობილია, მეტისმეტად დრამატულად წარიმართა. სამაგიეროდ, მეორე პარტია სწორედ ისე ვითამაშე, როგორც მინდოდა. ვფიქრობ, ჩემმა ამ გამარჯვებამ ფიშერზე გავლენა მოახდინა. მესამე პარტიაც უნდა მომეგო, მაგრამ წარმოუდგენელი რამ მოხდა — პირველად ჩემს საჭადრაკო ცხოვრებაში პოზიციის სამჯერ გამეორება გამომრჩა. მიუხედავად ამისა, ხუთი შეხვედრის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო და საფუძველი არ მქონდა შედეგით უკმაყოფილო ვყოფილიყავი.

მინდა შევნიშნო, რომ მსგავსი მატჩები ბევრ კითხვას აყენებს და მათზე დაუყოვნებლივ პასუხის გაცემა მუდამ როდი შეიძლება. ერთ-ერთი ასეთი კითხვაა, ერთ-ერთი მოულოდნელი და ჩემთვის ჯერჯერობით გამოუცნობი გამოცანაა მეექვსე და შემდგომ პარტიებში ჩემი საჭადრაკო მხედველობის დაქვეითება. შესაძლოა, ეს დაქვეითება დროებითი იყო, უფრო გრძელ დისტანციაზე იქნებ გამომესწორებინა კიდეც მდგომარეობა. მაგრამ მატჩი უკვე დამთავრდა...

ვადამდე...

სოჭი, 1 ნოემბერი. მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატში დასკვნითი ტურის წინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ლენინგრადელმა ი. ლევიტინამ მოუგო ტ. ზატულოვსკაიას (ბაქო) და ვადამდე გაინაღდა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი. ლევიტინა 17 წლისაა და ლენინგრადის ჟდანოვის სახელობის უნივერსიტეტის I კურსზე სწავლობს. იგი ლენინგრადის პიონერთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტის, მწვრთნელ ვ. ბივშევის აღზრდილია.

სხვა შეხვედრებში მ. შულმა (ლვოვი) მოუგო ა. მკრტჩიანს (ტაშკენტი), ზატულოვსკაიამ — რ. ბილუნოვას (მოსკოვის ოლქი), ა. სააკოვამ (ბაქო) — ვ. კოზლოვსკაიას (პიატიგორსკი), ბილუნოვამ — შულს. ყაიმით დამთავრდა ნ. ტიტორენკო — ე. ბალაშოვასა (ორივე — მოსკოვი) და ბილუნოვა — ლ. სემიონოვას (კიევი) პარტიები.

გუშინ დასკვნით, XIX ტურში ლევიტინა ყაიმს დასჯერდა სემიონოვასთან. სააკოვამ დაამარცხა ა. კისლოვა (ომსკი), ე. რუბცოვამ (მოსკოვი) — ტ. ფომინა (ტალინი), კ. სკეგინამ (მოსკოვის ოლქი) — ე. კაკაბაძე (თბილისი), ნ. კონოპლიოვამ (მოსკოვი) — ბალაშოვა. ყაიმზე შეთანხმდნენ: შული — ტიტორენკო, ლ. ზელავენეცი (მოსკოვი) — ბილუნოვა და ც. კობაიძე (თბილისი) — ი. სპივაკი (კიევი).

დღეს დილით დამთავრდა ორი გადადებული პარტია: რანიკუმ მოუგო კოზლოვსკაიას, ზატულოვსკაიამ — მკრტჩიანს.

ამრიგად, 14 ქულით I ადგილზე გავიდა ლევიტინა. II ადგილზეა შული — 12,5 ქულა. 12-12 ქულა მოაგროვეს სემიონოვამ და რანიკუმ, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილის მიხედვით III ადგილი სემიონოვას მიეკუთვნა. V ადგილზეა ზატულოვსკაია. VI-VIII ადგილები გაიყვეს კოზლოვსკაიამ, კისლოვამ და კონოპლიოვამ.

დღეს ჩემპიონატი საზეიმოდ დაიხურა. საუკეთესო მოჭადრაკეებს პრიზები გადაეცათ.

ორ ეტაპად

გორი, 31 ოქტომბერი (**დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.**). აქ უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს საქართველოს ვაჟთა პირველობა 64-უჯრიან შაშში. პირველობა ორ ეტაპად ტარდება. ჯერ 22 მოშაშე ხვდება ერთმანეთს. მერე I-X ადგილებზე გასულნი და საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი — ოსტატი თ. ბარამიძე ფინალურ ტურნირს გაითამაშებენ.

5 ტურის შემდეგ ლიდერობენ ვ. ნინუა, დ. კილურაძე (ორივე — თბილისი) და ვ. გობოზოვი (ცხინვალი) — 4-4 ქულა.

ტურნირში თამაშობს სსრ კავშირის მოშაშე გოგონათა ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი თ. გამხიტაშვილიც. მას 2,5 ქულა აქვს.

პრეზიდენტი ამბობს: „შანსები თანაბარია"

პრეტენდენტების — ტ. პეტროსიანისა (სსრ კავშირი) და რ. ფიშერის (აშშ) ფინალური მატჩის დროს ბუენოს-აირესში რამდენიმე დღე დაჰყო ფიდე-ს პრეზიდენტმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ეივემ (ჰოლანდია). ჟურნალისტებთან საუბრის დროს მან ბევრი საგულისხმო რამ თქვა.

— პრეტენდენტთა ფინალური ორთაბრძოლა, — განაცხადა ეივემ, — სპორტულ სამყაროში უდიდეს ინტერესს იწვევს. ასეა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც ჭადრაკს მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ ექცევა. ამ დღეებში გაიზარდა ზოგიერთი გაზეთის ტირაჟი და, რა თქმა უნდა, მათი მეპატრონეების შემოსავალიც.

პრეზიდენტის აზრით, პეტროსიანს ხუთივე პირველი შეხვედრა უნდა მოეგო, ვინაიდან უპირატესობა მას ჰქონდა. თანამედროვე ჭადრაკში შემტევი თამაშის ტენდენცია შეიმჩნევა. ეს ფიშერის თაოსნობით ხდება. დაცვითი თამაში კარგავს ქომაგებს. პეტროსიანმაც კი, მაგალითად, მეორე პარტია მორფის სტილში ითამაშა.

ბ. სპასკი—რ. ფიშერის მატჩში მეტოქეთა შანსები თანაბარია, ყოველ შემთხვევაში, ყაიმით ძალიან ცოტა პარტია დამთავრდება, — თქვა ეივემ.

ჭადრაკის მეფის ტახტისთვის 1972 წლის მატჩის მასპინძლობა 20 ქვეყანამ ითხოვა. მიღებულია ჩილის პრეზიდენტის სალვადორე ალენდეს პირადი მოწვევაც. ეივემ თქვა, რომ განაცხადები შეჯიბრების დაწყებამდე ოთხი თვით ადრე მიიღება. ასეთ თარიღად მან 1 თებერვალი დაასახელა. ამ საკითხში ფიდე-სთვის მთავარი სირთულე ფინანსური მხარეა. საქმე ისაა, ვინ რამდენს გაიღებს მატჩის გამართვისთვის.

ეივეს აზრით, უახლოესი ათი წლის მანძილზე მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოხვეჭის შესაძლებელი კანდიდატები არიან კარპოვი (სსრ კავშირი), მეკინგი (ბრაზილია), ბრაუნი (ავსტრალია) და რეე (ჰოლანდია).

ჩემპიონატები, თასები, ლიგები

ბელგია

ცსკა-სთან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩის წინ ლიეჟის „სტანდარდის" ფეხბურთელთა გუნდმა ეროვნული პირველობის IX ტურში ანგარიშით 4:0 სძლია „გროსინგს" და 15 ქულით ლიდერობა შეინარჩუნა (7 მოგება, თითო ფრე და წაგება, ბურთების ბალანსი 22—5).

პორტუგალია

უეფა-ს თასის გათამაშებაში მოსკოვის „სპარტაკის" მეტოქემ — სეტუბალის „ვიტორიამ" ეროვნული ჩემპიონატის VII ტურში შინ მოუგო ლისაბონის „ატლეტიკოს" — 3:0. „ვიტორია" 11 ქულით III ადგილზეა (5 მოგება, თითო ფრე და წაგება, ბურთები: 18—5).

I ადგილზეა „ბენფიკა" (ლისაბონი) — 13 ქულა, II — „სპორტინგი" — 12.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

„დინამო" (თბილისი) —
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)

2 ნოემბერი
სათადარიგო შემადგენლობანი

3 ნოემბერი
ძირითადი შემადგენლობანი

მატჩების დასაწყისი 18 ს. და 30 წ.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა: ორგანიზაციებში — 2 ნოემბერს, აბონემენტებზე — 2 ნოემბერს 12-დან 19 საათამდე, საერთო გაყიდვა — 3 ნოემბერს 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. შ[illegible] უფ 04943.